

ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

ყურადღება!!! გასწორდება მხოლოდ ჩვენ მიერ მოწოდებული პასუხების ფურცელი.

პასუხების ფურცლის გაკვეცვა დაუშვებელია.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!




- კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული შაორის წყალსაცავი?



- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D

2. რომელი მხარის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას წარმოადგენს მდ. რიონი?

ა. შიდა ქართლის

ბ. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

გ. სამცხე-ჯავახეთის

დ. მცხეთა-მთიანეთის

3. რომელი მხარის საზღვრის უდიდესი ნაწილი ემთხვევა: ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედს, აღმოსავლეთით – მდ. ენგურს, ჩრდილო-დასავლეთით – მდ. ფსოუს, ხოლო დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – შავ ზღვს.

ა. აფხაზეთის

ბ. აჭარის

გ. გურიის

დ. იმერეთის

4. რომელი გეოგრაფიული ობიექტი არ მიეკუთვნება კავკასიას?

- ა. ერუშეთის მთიანეთი
- ბ. ლენქორანის დაბლობი
- გ. ელდარის დაბლობი
- დ. ლაზისტანის ქედი

5. რომელია ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების ის ვერსია, რომლის მიხედვითაც მთელი კავკასია ევროპის შემადგენლობაში შედის?

ა. საზღვარი მიუყვება ყუმა-მანიჩის ღრმულს

ბ. საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს

გ. საზღვარი მიუყვება მდინარეებს: რიონს, ყვირილასა და მტკვარს

დ. საზღვარი მიუყვება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სახელმწიფო საზღვარს ირანთან და თურქეთთან

6. რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება ფილიპინის ზღვა?


ა. ინდოეთის

ბ. წყნარი

გ. ატლანტის


დ. ჩრდილოეთის ყინულოვანი

7. რომელი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია – 8° ს.გ. 125° დ.გ.?



8. 2015 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი ფეხბურთში გაიმართა ბერლინში. მატჩი დაიწყო ადგილობრივი დროით 20 საათზე. ჩამოთვლილთაგან, რომელი ქვეყნის დედაქალაქში დაიწყებოდა მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია ადგილობრივი დროით 13 საათზე?

მსოფლიოს სასაათო სარტყლების რუკა



- ა. მექსიკის
- ბ. ბრაზილიის
- გ. ჩილეს
- დ. არგენტინის

9. მეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის დედამიწის ქერქის სტრუქტურას, მოძრაობასა და ცვალებადობას?


ა. გეოდეზია

ბ. ჰიდროლოგია

გ. ტექტონიკა

დ. ნიადაგმცოდნეობა

10. რუკის საშუალებით განსაზღვრეთ, რას უდრის მანძილი პარიზიდან ბერლინამდე?



- ა. 685 კმ
- ბ. 875 კმ
- გ. 1100 კმ
- დ. 1870 კმ

11. რომელი გეოგრაფიული კანონზომიერება მოჩანს ფოტოზე?



- ა. განედური ზონალურობა
- ბ. რიტმულობა
- გ. აზონალურობა
- დ. ვერტიკალური ზონალურობა

12. რომელ წინადადებაშია საუბარი ურბანიზაციის პროცესზე?

- ა. შიდა ქართლის ვაკე ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონია საქართველოში, რომელიც გამოირჩევა მსხვილი სასოფლო დასახლებების სიხშირით
- ბ. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთათაშორის ბარშია თავმოყრილი, რაც ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეს ქმნის
- გ. საქართველოს მსხვილი ქალაქები მიზიდულობის ზონებს ქმნიან და ახლომდებარე საქალაქო და სასოფლო დასახლებებთან ერთად წარმოქმნიან აგლომერაციებს
- დ. XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ინტენსიურად შემოვიდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებლები (დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად)

13. რითი აიხსნება ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დროშების მსგავსება?

ა. ორივე სახელმწიფოში ინგლისურ ენაზე საუბრობენ

ბ. ორივე კუნძულოვანი სახელმწიფოა

გ. ერთმანეთის მეზობელი ქვეყნებია

დ. ორივე ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია

14. რა აქვთ საერთო ლიტვასა და საქართველოს?

- ა. ორივეს ერთი და იგივე რაოდენობის სახელმწიფო ესაზღვრება
- ბ. ორივეს შავი ზღვა ესაზღვრება
- გ. ორივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია
- დ. ორივე ევროპის კავშირის წევრია

15. რა მაჩვენებლის მიხედვით არის დალაგებული სახელმწიფოები ცხრილში?

#	სახელმწიფო	მაჩვენებელი
1.	ნორვეგია	0,944
2.	ისლანდია	0,942
3.	შვედეთი	0,941
4.	ავსტრალია	0,939
5.	ნიდერლანდები	0,938
6.	ბელგია	0,937

- ა. შობადობის კოეფიციენტის
- ბ. ჰუმანური განვითარების ინდექსის
- გ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის
- დ. ჩვილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტის

16. რომელია მართებული მტკიცებულება?

- ა. ფოთის მიდამოებში მოიპოვება ტორფი
- ბ. მირზაანის მიდამოებში მოიპოვება მარმარილო
- გ. ტყვარჩელის მიდამოებში მოიპოვება მურა ნახშირი
- დ. კაზრეთის მიდამოებში მოიპოვება ნავთობი

17. სად არ მოიპოვებენ ნავთობს?

ა. სპარსეთის ყურეში

ბ. გვინეის ყურეში

გ. კარიბის ზღვაში

დ. მარმარილოს ზღვაში

18. რა ტიპის ელექტროსადგურია გამოსახული ფოტოზე?



- ა. ჰელიო
- ბ. ჰიდრო
- გ. ეოლური
- დ. ატომური

19. რა არის მიწის რეკულტივაცია?




- ა. ნიადაგის შემადგენლობის შესწავლა
- ბ. ნიადაგის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მემცენარეობაში
- გ. ნიადაგის პროდუქტიულობის აღდგენა
- დ. ნიადაგის გამოყენება საძოვრებად

- შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

საერთაშორისო ორგანიზაცია					
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია	ევროპის კავშირი	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია
სიმბოლო					
1	2	3	4	5	6
					

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

სახელმწიფო						
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
ისრაელი	თურქეთი	რუსეთი	უკრაინა	აზერბაიჯანი	ირანი	სომხეთი
სახელმწიფო დროშა						
1	2	3	4	5	6	7
						

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა შესაძლებელია):

	მხარე		ბუნებრივი პირობები
ა	მცხეთა-მთიანეთი	1	მხარის მთავარი ჰიდროგრაფიული არტერიაა მდ. ალაზანი
ბ	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	ვრცელდება ეგრისის ქედი
გ	სამცხე-ჯავახეთი	3	მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
დ	იმერეთი	4	მდებარეობს მდ. არაგვის წყალშემკრები აუზის უდიდესი ნაწილი
ე	შიდა ქართლი		
ვ	კახეთი		
ზ	სამეგრელო-ზემო სვანეთი		

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩვენება შესაძლებელია):

	ბუნებრივი რესურსი		ბუნებრივი რესურსის ტიპი
ა	ტყვია	1	საშენი მასალა
ბ	ქვანახშირი	2	შავი ლითონი
გ	მარმარილო	3	სათბობ-ენერგეტიკული
დ	ბუნებრივი აირი	4	ფერადი ლითონი
ე	კალა		
ვ	რკინა		
ზ	ტორფი		

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩვენება შესაძლებელია):

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული		სახელმწიფო	
ა	ინდიანა	1	აშშ
ბ	ახალი სამხრეთი უელსი	2	საფრანგეთი
გ	ნევადა	3	გერმანია
დ	ლოტარინგია	4	ავსტრალია
ე	ჩრდილოეთი ტერიტორია		
ვ	ქვემო საქსონია		
ზ	ბავარია		

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ქალაქი		რეგიონი
ა	ტყვარჩელი	1	აფხაზეთი
ბ	ლანჩხუთი	2	კახეთი
გ	ოზურგეთი	3	ქვემო ქართლი
დ	ყვარელი	4	გურია
ე	ოჩამჩირე		
ვ	დედოფლისწყარო		
ზ	ბოლნისი		

- რუკის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

26.1.(1) რომელი მარშრუტი კვეთს სამხრეთის პოლარულ წრეს?

26.2. (1) რომელი მარშრუტის მონაკვეთი გაივლის როგორც ევროპის, ასევე აზიის ტერიტორიაზე?

26.3. (1) რომელი მარშრუტი გადის „ბ“ ფრაგმენტზე გამოსახულ ტერიტორიაზე?

26.4. (1) რომელი მარშრუტი იწყება ქ. ბუენოს-აირესიდან?

26.5. (1) რომელი მარშრუტი გაივლის კარიბის რეგიონზე?

27. (6) ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს (A3 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკა მოცემულია პასუხების ფურცელთან ერთად):

27.1. (1) რას უდრის მდ. გეგას დინების სიჩქარე?

ა. 4 მ/წმ; ბ. 2 მ/წმ; გ. 0.4 მ/წმ; დ. 0.2 მ/წმ.

27.2. (1) რამდენი მეტრია სიმაღლეთა სხვაობა მ. მელოტსა და მ. კიჩოს შორის?

ა. 5; ბ. 10; გ. 15; დ. 20.

27.3. (1) რომელი ობიექტი მდებარეობს სოფ. რატიეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით?

ა. სოფ. იარონი; ბ. მ. მელოტი; გ. ტბა კორო; დ. მდ. გეგას სათავე.

27.4. (1) როგორი ლანდშაფტი არ არის წარმოდგენილი მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკაზე?

ა. ჭარბტენიანი; ბ. ნივალური; გ. ტყის; დ. ანთროპოგენური.

27.5 (2) მრეწველობის რომელი დარგია განვითარებული დაბა დეკიანში? პასუხი დაასაბუთეთ.

- ინფორმაციის ტრანსფორმაცია

ინსტრუქცია




ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (8) I, II, III ცხრილებსა და დიაგრამებზე მოცემულია სამი სახელმწიფოს: აშშ-ის, გერმანიისა და იაპონიის სტატისტიკური მონაცემები. გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

I. ცხრილი	აშშ	იაპონია	გერმანია
ფართობი (კვ.კმ)	9 826 675	377 915	357 022
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	52 800	37 100	39 500
სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი	17.6%	8.7%	26.1%
საავტომობილო გზების საერთო სიგრძე (კმ)	6 586 610	1 210 251	645 000

II. ცხრილი	სახელმწიფო	მოსახლეობის რაოდენობა
	A	127 103 388
	B	80 996 685
	C	318 892 103

III. ცხრილი	სახელმწიფო	შობადობა 1 000 კაცზე	მოკვდავობა 1 000 კაცზე	მიგრაციის სალდო 1 000 კაცზე
	D	8.42	11.29	1.06
	E	13.42	8.15	2.45
	F	8.07	9.38	0



- 28.1. (3) II, III ცხრილებსა და დიაგრამებზე მოცემული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ შესაბამისი ცხრილები:
- 28.2. (1) დავალებაში მოცემული სახელმწიფოები დაალაგეთ მშპ-ის მოცულობის ზრდის მიხედვით *(მცირედან დიდისკენ)*.
- 28.3. (2) რომელ სახელმწიფოშია ყველაზე დაბალი ურბანიზაციის დონე და რას უდრის ეს მაჩვენებელი (ახსენით ან უჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?
- 28.4. (1) III ცხრილის მიხედვით, რას უდრის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (‰) E სახელმწიფოში (ახსენით ან უჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?
- 28.5. (1) რომელ სახელმწიფოშია საავტომობილო გზების ქსელის უფრო მაღალი სიხშირე?

- ტექსტის ანალიზი

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

29. (10) გაანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს.

ეს ქალაქი მდინარის შესართავსა და ტბას შორის მდებარეობს. იგი თბილისიდან 312 კმ-ით არის დაშორებული. მისი ძველი სახელწოდება პირველად ისტორიულ წყაროებში ძვ. წ. VIII ს-ში მოიხსენიება. დღესდღეობით მისი ფართობი 69 კვ.კმ-ს, ხოლო მოსახლეობა დაახლ. 47 ათას კაცს შეადგენს. იგი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და სამრეწველო ცენტრია.

აი, რას წერდა ამ ქალაქის თავი 1871 წელს: „ქალაქის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და მდინარის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა ... რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოიანი ჰავა აქვს.

ქალაქის გასაშრობად საჭიროა მდინარის ნაპირის დაგუბვა და ამაღლება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა ... ქალაქს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდეგ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა. ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის და ქალაქს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა.“

- 29.1. (1) რომელი ქალაქია აღწერილი ტექსტში?
- 29.2. (1) რომელ მდინარეზეა საუბარი ტექსტში?
- 29.3. (1) რომელ ტბაზეა საუბარი ტექსტში?
- 29.4. (1) რას უწოდებენ ტექსტში აღწერილ სტრატეგიულ სატრანსპორტო-სავაჭრო მიმართულებას, რომელიც ამ ქალაქზე გადის?
- 29.5. (1) რა ეწოდება იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც აღწერილია მე-3 აბზაცში?
- 29.6. (1) რომელი დაავადების გავრცელებას შეუწყობდა ხელს XIX-XX სს მიჯნაზე ტექსტში აღწერილი გეოგრაფიული პირობები?
- 29.7. (1) ვის ეკუთვნის ტექსტში მოყვანილი ციტატა?
- 29.8. (1) გამოთვალეთ დახლოებით რას უტოლდება ტექსტში აღწერილი ქალაქის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე.
- 29.9. (2) რომელი დაცული ტერიტორია მდებარეობს ტექსტში აღწერილი ქალაქის მახლობლად? რისი დაცვის მიზნით შეიქმნა იგი?